ოქმი:**ო63. 6324327001**
თარიღი:**22/11/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომის

ო ქ მ ი N7

ქ.სამტრედია 15 ნოემბერი. 2024წელი.

მიმდინარე წლის 15ნოემბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის თავმჯდომარეობით, ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ტარიელ დვალიშვილი, ვაჟა სტურუა, ვალერიანე ფოცხვერია, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, გოჩა არველაძე, ლიზა კრავეიშვილი, ირაკლი მელაშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ტარიელ ცომაია, ბადრი შენგელია, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი ლეჟავა, ჯონი თევზაძე,

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ტარიელ დვალიშვილი/

2. სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარის წინადადებით, ფრაქციის წევრებმა (17 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრთა (17 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> სხდომის თავმჯდომარემ, ტარიელ დვალიშვილმა ფრაქციის წევრებს განსახილველად გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ტარიელ დვალიშვილი - მოგახსენებთ, რომ ფრაქცია ,,ქართული ოცნება“-ს განსახილველად დაეწერა 2025 წლის ბიუჯეტის პროექტი.

ფრაქციამ აღნიშნული პროექტი შეისწავლა და მიიღო გადაწყვეტილება, რომ

ეთანხმება მერიის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტს.

ფრაქციის წევრებმა იმსჯელეს და წარმოადგინეს თავისი წინადადებები, რომელიც სასურველია გათვალისწინებული იყოს 2025 წლის ბიუჯეტში.

შესაბამისად, წარმოგიდგენთ 2025 წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელ შენიშვნებს და წინადადებებს. კერძოდ,

მერიის სოციალური სამსახურის 2025 წლის მიზნობრივ სოციალურ პროგრამაში მე-13 მუხლის III და IV პუნქტში, განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება, ითვალისწინებს დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით. ნაცვლად 50 ლარისა გაიცეს 100 ლარის ოდენობით. ბავშვების რაოდენობა შეადგენს 4-ს და თანხა 2400 ლარს.

ბ) დიაბეტით დაავადებულ ბავშვების (18 წლამდე) ფინანსური დახმარება; ითვალისწინებს დიაბეტით დაავადებული ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას 50 ლარის ოდენობით.ნაცვლად 50 ლარისა გაიცეს 100 ლარის ოდენობით. ბავშვების რაოდენობა შეადგენს 11-ს და თანხა 6600 ლარს.

ფრაქციის წევრებმა იმსჯელეს და

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრები (17 ხმით) მხარს უჭერს ზემოაღნიშნულს.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

ტარიელ დვალიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი